ხელშეკრულება №03/1141
ტელეფონის აპარატების (CPV:32552100) და გადამყვანები/ადაპტერების (CPV:31111000) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(საქართველოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში)

ქ. თბილისი „2“ „სექტემბერი“ 2011წ.

ერთის მხრივ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ლევან დავითულიანის სახით (შემდგომში - “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს ”ორიენტ ლოჯიკ”-ი წარმოდგენელი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი
1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის (საქართველოს საელჩო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში) ტელეფონის აპარატების და გადამყვანები/ადაპტერების მიწოდება.

2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 855.00 (რვაასორმოცდათხუთმეტი) ლარი;
2.2. მათ შორის:
ა) ტელეფონის აპარატის ერთეულის ღირებულება 260.00(ორასსამოცი) ლარი;
ბ) ადაპტორის ერთეულის ღირებულება 25.00(ოცდახუთი) ლარი;
2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს

3. საქონლის ოდენობა, სახეობა, მიწოდების პირობები და გარანტია
3.1 “შემსყიდველის” საჭიროების შესაბმისად „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს 3(სამი) ცალი ტელეფონის აპარატის და გადამყვანები/ადაპტერების მიწოდებას მიმდინარე წლის 5 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №4.
3.2. მიწოდებულ საქონელზე “მიმწოდებელი” უზრუნველყოფს მწარმოებლის მიერ დადგენილ საგარანტიო მომსახურებას;

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
4.1. „მიმწოდებელითან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

საქონლის, მომსახურების, სამუშაოს
მიღება-ჩაბარების აქტი
№03

ქ.თბილისი 5 სექტემბერი 2011 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ინსპექტირების ჯგუფის წევრი ა.ლაგვილავა, ოფიციალურ კორესპონდენციაზე მუშაობის სამსახურის უფროსი ზ.ავალიშვილი და სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების მენეჯერი გ.მაკასარაშვილი, მეორეს მხრივ შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი"-ს დირექტორი ვაჟა ნასყიდაშვილი, ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 29.08.2011წ №2/5-08 წერილისა და 02.09.2011წ. №03/1141 ხელშეკრულების თანახმად მიმწოდებელმა შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკმა" 05.09.2011წ. №050911/0036 ს/ზედნადებით (საგადასახადო ანგარის–ფაქტურა ეა-01 № 1476193 06.09.2011წ) საქართველოს საელჩო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში განახორციელა საქონლის მიწოდება,რომლის ღირებულება შეადგენს 855.00 ლარს.

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	Cisco Power Supply for Linksys VoIP Products-5V/2A (PA100-EU)	3	25.00	75.00
2	1 Line IP Phone With Display,PoE, PC Port (CSSPA502G)	3	260.00	780.00
3	სულ:			855.00

აქტის სისწორეზე ხელს ვაწერთ:

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი"
დირექტორი
ვაჟა ნასყიდაშვილი

„შემსყიდველი"
საგარეო საქმეთა სამინისტრო

1. ა ლაგვილავა
2. ზ. ავალიშვილი
3. გ.მაკასარაშვილი